

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (168)

20 მ ა რ ა ვ ი

1962 წელი

### შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები


#### განყოფილება პირმელი

- 102. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რევიზიის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის.
- 103. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტუნისის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.
- 104. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის შესახებ.

#### განყოფილება მიმრე

- 105. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. პ. შტიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 106. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. თ. ე. მარტინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 107. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. კ. ი. გალანშინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 108. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ე. ბასოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 109. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. მ. პ. გიორგაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

104



განყოფილება პირველი

110. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებიდში აშხ. ა. ი. გიგაურის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად დავების შესახებ.

ბანკოფილია პირველი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

**102** საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უსასაზღვრო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, სურთ რა განსაზღვრონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჯეროვან წესრიგში იყოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი და სასაზღვრო საკითხები მოწესრიგდეს თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით, გადაწყვიტეს ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება და ამისათვის თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ივანეს ძე უსტინოვი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ — შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ლასლო ფელდეში**,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორმად და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე.

ბანკოფილია I

საზღვრის ხაზის გატარება, სასაზღვრო ნიშნები, საზღვრის აღნიშვნა და მოვლა

მუხლი 1

1. სახელმწიფო საზღვრის ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შორის, დადგენილი უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების 1 მუხლის 3 პუნქტით, რომელიც ხელმოწერილია პარიზში 1947 წლის 10 თებერვალს, ადგილზე გადის ისე, როგორც იგი განსაზღვრულია:

a) რედემარკაციის დოკუმენტებში, რომლებსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის რესპუბლიკის შორის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაციის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შერეულმა კომისიამ ხელი მოაწერა 1949 წლის 30 ივლისს მოსკოვში.

6) დოკუმენტებში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე, რომლებსაც ხელი <sup>1949 წლის 18 ივლისს</sup> 1949 წლის 18 ივლისს უეგოროდში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაციის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შერეულმა კომისიამ და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კომისიამ;

ვ) დოკუმენტებში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე, რომლებსაც 1949 წლის 30 ივლისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაციის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შერეულმა კომისიამ და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეულ კომისიაში რუმინეთის დელეგაციამ;

ჟ) საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაციის დოკუმენტების დანართებსა და დამატებებში და ამ დოკუმენტების დამატებებში, რომლებიც შეიძლება გამოჩნდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

2. რედემარკაციის დოკუმენტებს წარმოადგენს:

ა) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის 1948 — 1949 წლებში რედემარკირებული სახელმწიფო საზღვრის ხაზის გატარების ოქმი — აღწერა;

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის 1948 — 1949 წლებში რედემარკირებული სახელმწიფო საზღვრის რუკები;

ვ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის 1948 — 1949 წლებში რედემარკირებული სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო ნიშნების ოქმები;

ჟ) ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების შესაბამისი დანართები და დამატებანი.

## მუხლი 2

1. სახელმწიფო საზღვარი, რომელიც გადის ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულ ხაზზე, ვერტიკალური მიმართულებით გამოიწვევს აგრეთვე საპაერო სივრცეს და წიაღს.

2. შემდგომი ამ ხელშეკრულებაში სახელმწიფო საზღვრის ხაზი აღინიშნება სიტყვებით „საზღვარი“ ან „საზღვრის ხაზი“.





1. სახმელეთო უბნებზე, აგრეთვე საზღვრის ხაზით გადაკვეთილ დამცარ და გამდინარე წყლებზე გადის უძრავად, როგორც წესი, სწორი ხაზით ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე, შესაბამისად რედემარკაციის დოკუმენტებისა.

2. წყლების უბნებზე საზღვარი გადის მდინარეების, ნაკადულებისა და არხების შუაზე მოძრავად სწორი, ტეხილი ან მრუდი ხაზით, აგრეთვე ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე.

მუხლი 4

1. მდინარეებზე, ნაკადულებზე და არხებზე საზღვრის ხაზის გატარება იცვლება მათი შუა ადგილის გადაადგილების შესაბამისად, რაც გამოწვეულია ამ მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ნაპირების კონფიგურაციის ბუნებრივი ცვლილებებით.

2. საზღვრის ხაზის, რომელიც გადის მდინარის, ნაკადულის ან არხის შუაზე, განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება მდინარეზე, ნაკადულზე ან არხზე არსებული ყურეები და ასეთ შემთხვევებში ამ მდინარეების, ნაკადულებისა და არხების შუად ითვლება გასწორებული ხაზი, რომელიც ერთნაირად დაშორებულია ორივე ნაპირის შესაბამისად გასწორებულ ხაზიდან. იქ, სადაც შეუძლებელია ნაპირების ამ ხაზის ზუსტად განსაზღვრა, ამ პუნქტში ჩამოთვლილ სასაზღვრო გამდინარე წყლების შუად ითვლება წყლის ზედაპირის შუა ადგილი წყლის საშუალო დონის დროს.

3. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ცვლილებებს საჭიროებისდა მიხედვით, ერთად დაადასტურებენ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი.

დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულებისა და არხების შუა ადგილის მდგომარეობის ცვლილებას, რედემარკაციის ძირითად დოკუმენტებს არ ერთვის, არამედ ინახება ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფლებთან, რომლებიც ემსახურებიან საზღვრის ამ უბანს.

4. სასაზღვრო მდინარის, ნაკადულის ან არხის კალაპოტის გადახრა სტიქიური ბუნებრივი მოვლენების შედეგად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მიწის საგარეულების, დასახლებული პუნქტების, ღირებულების მქონე ნაგებობების, შენობებისა და ა. შ. ტერიტორიული კუთვნილების შეცვლა, არ ცვლის გატარებულ საზღვრის ხაზს, თუ ხელშეკრულების დამდები მხარეები სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების ჩატარების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით, არ შეთანხმდებიან სხვაზე.

5. ამ მუხლის 1 პუნქტში მოხსენებული ცვლილებები საზღვრის ხაზის გატარების დროს არ ცვლის ტერიტორიულ კუთვნილებას სასაზღვრო მდინარეებში არსებულ კუნძულებისას, რომლებიც საზღვრის რედემარკაციის დროს მიეკუთვნა ამა თუ იმ მხარეს, თუ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ შე-

თანხმდებიან სხვაზე სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების განხორციელების დროს, რომლებიც დასრულებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

6. ამ მუხლის 4 პუნქტში აღნიშნული ცვლილებების შემთხვევაში და თუ შეუძლებელია მიღებულ იქნას ამ ხელშეკრულების 16 მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ღონისძიებები, საზღვრის ხაზი, თუ აღმოჩნდება რომ იგი კვლავ აღარ გადის მდინარეზე, ნაკადულზე ან არხზე, უნდა განისაზღვროს სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების განხორციელების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

## მუხლი 5

1. 1962 წელს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი მდინარეებზე, ნაკადულებზე და არხებზე განახორციელებენ საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმებას ადგილზე გაზომვებისა და სხვა სამუშაოების გზით. შემდგომში ასეთი ერთად შემოწმებები განხორციელდება ყოველი ათი წლის შემდეგ იმ პირობით, თუ ეს ხელშეკრულება ძალაში დარჩება.

2. სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმება წარმოებს ზაფხულში. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების დაწყების შესახებ შეთანხმდებიან წინასწარ იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მხარეს საშუალება ჰქონდეს განახორციელოს ამისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაო.

3. 1948 — 1949 წლების რედემარკაციის დოკუმენტებთან და შემდგომი რედემარკაციის დოკუმენტებთან შედარებით მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ცალკეულ უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ცვლილებების დადგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ატარებენ საზღვრის ახალ ხაზს და განსაზღვრავენ საზღვრის ამ უბანზე არსებულ კუნძულების კუთვნილებას.

კუნძულები სასაზღვრო მდინარეებზე ტერიტორიულად მიეკუთვნება ამა თუ იმ მხარეს იმისდა მიხედვით თუ როგორ მდებარეობენ ისინი საზღვრის ხაზის მიმართ და რედემარკაციის ახალ დოკუმენტებში დაინომრებიან რიგითი ნომრებით.

4. მდინარეების, ნაკადულებისა და არხების უბნებზე, სადაც მოხდა ცვლილებანი საზღვრის ხაზის გატარებაში, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ადგენენ ახალ სარედემარკაციო დოკუმენტებს, ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და უნგრულ ენებზე, რედემარკაციის იმ დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების 1 მუხლში.

5. აღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი თითოეული მხარიდან პარიტეტულ საწყისებზე

მოიწვევენ ექსპერტებს, სპეციალისტებსა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო სხვა პირებს.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები თანაბრად განაწილდებოდა ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

6. სასაზღვრო წყლების უზენების ახალი სადემარკაციო დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, დამტკიცებულ უნდა იქნას ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მთავრობათა მიერ და ძალაში შევა მათი დამტკიცების შესახებ ცნობების გაცვლის დღიდან.

7. ამ მუხლის 6 პუნქტში აღნიშნული ახალი დოკუმენტები მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ცალკეულ უბანზე, შეცვლიან 1948 — 1949 წლების რედემარკაციის დოკუმენტებს ან შიმდგომი რედემარკაციის დოკუმენტებს ამ უბანზე.

### მუხლი 6

1. საზღვარი ადგილზე აღნიშნულია სასაზღვრო ნიშნებით, ისე როგორც ეს ნაჩვენებია საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის 1948 — 1949 წლების რედემარკაციის დოკუმენტებში და დოკუმენტებში სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის და სსრ კავშირის, უნგრეთისა და რუმინეთის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე.

2. ხის სასაზღვრო ბოძები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვარზე დადგმულია რედემარკაციის დროს 1948 — 1949 წლებში, 1962 წლის 30 ოქტომბრამდე შეცვლილ იქნება ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა შორის შეთანხმებული ნიმუშის რკინა-ბეტონის ბოძებით.

3. ყოველი სასაზღვრო ნიშნის დახასიათება და მისი მდებარეობა საზღვრის ხაზის მიმართ განისაზღვრება რედემარკაციის შესაბამისი დოკუმენტებით, დოკუმენტებით სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე და ახალი დოკუმენტებით, რომლებიც შედგენილ იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

### მუხლი 7

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ საზღვრის ხაზის აღსანიშნავად დადგმული სასაზღვრო ნიშნების, აგრეთვე სასაზღვრო განაკაფების მოვლას ისეთი წესით, რომ სასაზღვრო ნიშნების ადგილმდებარეობა, სახეობა, ფორმა, ზომა და ფერი, განაკაფების სივანე და სისუფთავე შეესაბამებოდეს რედემარკაციის 1948 — 1949 წლების დოკუმენტების და ახალი დოკუმენტების ყველა მოთხოვნას, რომლებიც ამ ხელშეკრულების 6 მუხლის 2 პუნქტის საფუძველზე შედგენილ იქნება ბოძების შეცვლასთან დაკავშირებით.



2. სასაზღვრო ნიშნებად, რომლებიც შემდგომ იქნება მოხსენებული, რეგულისხმება: საბჭოთა კავშირის და უნგრეთის ერთი ნიშნის ხის ან რკინაბეტონის სასაზღვრო ბოძები მათ შორის ხის ან რკინაბეტონის პატარა ბოძით <sup>ერთი ნიშნული</sup> ერთმანეთთან ერთად, აგრეთვე გრანიტის ან რკინაბეტონის ბოძები, გრანიტის ან ბეტონის მონოლითები.

### მუხლი 8

სასაზღვრო ნიშნები მოსავლელად ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

a) ხის, გრანიტისა და რკინაბეტონის სასაზღვრო ბოძების მოვლას უზრუნველყოფს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც არის დადგმული აღნიშნული სასაზღვრო ბოძები;

b) სასაზღვრო ნიშნების ცენტრების — ხისა და რკინაბეტონის პატარა ბოძებისა და მონოლითების მოვლას, რომლებიც დადგმულია ზედ სახელმწიფო საზღვრის ხაზზე, კისრულობენ:

ლუწი ნუმერაციის სასაზღვრო ნიშნების ცენტრებისა — საბჭოთა მხარე; კენტი ნუმერაციის სასაზღვრო ნიშნების ცენტრებისა — უნგრეთის მხარე.

### მუხლი 9

1. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის სათანადო ხელისუფალნი აწარმოებენ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის და სასაზღვრო განაკაფების მდგომარეობის დათვალიერებას ამ ხელშეკრულების 8 მუხლის თანახმად საკუთარი შეხედულებისამებრ. მაგრამ, გარდა ცალმხრივი დათვალიერებისა, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფლებმა ორ წელიწადში ერთხელ უნდა აწარმოონ სასაზღვრო ნიშნების საკონტროლო დათვალიერება.

2. სასაზღვრო ნიშნების ერთად საკონტროლო დათვალიერება იწარმოებს ზაფხულში. სასაზღვრო ნიშნების ერთად საკონტროლო დათვალიერების დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან თითოეულ შემთხვევაში.

3. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთად დათვალიერების საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ამის შესახებ წერილობით აფრთხილებენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთად დათვალიერება განხორციელდება არა უგვიანეს ათი დღისა ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალთა ცნობის მიღების მომენტიდან.

4. იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების დროს დადგენილ იქნება, რომ დემარკაციის დოკუმენტებში არსებული გაზომვათა მონაცემები არ დაემთხვევიან მონაცემებს, რომლებიც მიღებულია ადგილზე ერთად გაზომვის გზით და თუ დადგენილ იქნება, რომ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობა რედემარკაციის



მომენტიდან არ შეცვლილა, გადამწყვეტად ჩაითვლება ადგილზე გაზომვების მონაცემები.

5. საზღვრის რედემარკაციის დოკუმენტების ამ მუხლის 4 პუნქტიტორ შესწორებები და დამატებები ხდება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა შორის შეთანხმებით და დაერთვიან ამ დოკუმენტებს.

6. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები საკონტროლო დათვალიერების შედეგად აღგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და უნგრულ ენებზე.

### მუხლი 10

1. სასაზღვრო ნიშნის (მთლიანად ან მისი ნაწილის) დაკარგვის, დანგრევის ან დაზიანების შემთხვევაში, მისი აღდგენა ან გასწორება წარმოებს დაუყოვნებლივ იმ მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, რომლის ტერიტორიაზეც დადგმულია ეს ნიშანი ან რომელზეც მიმავრებულია იგი. სასაზღვრო ნიშნების აღსადგენად ან შესაკეთებლად სამუშაოთა დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან წერილობით აუწყონ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა არა უგვიანეს ათი დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

2. დაკარგული, დანგრეული ან დაზიანებული სასაზღვრო ნიშნების აღდგენას აწარმოებენ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

3. სასაზღვრო ნიშნის აღდგენის ან შეკეთების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მისი ადგილმდებარეობა არ შეიცვალოს. ამისათვის სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნას რედემარკაციის დოკუმენტები; მათში არსებული მონაცემები უნდა შემოწმდეს ადგილზე საკონტროლო გაზომვებით.

4. საზღვრის წყლის უბნებზე წყალდიდობით, ყინულთსვლით ან ნაპირის ბუნებრივი ჩამორეცხვის შედეგად დაზიანებული ან განადგურებული სასაზღვრო ბოძების აღდგენის ან აგების დროს, დაშვებულია მათი აღრინდელი ადგილმდებარეობის შეცვლა, თვით საზღვრის ხაზის გატარების შეუცვლელად, და ახლად დაყენება იმ ადგილებში, სადაც სასაზღვრო ბოძების დაცვა გარანტირებულია. წყალდიდობით, ყინულთსვლით ან ნაპირის ბუნებრივი ჩამორეცხვის შედეგად სასაზღვრო ბოძების შესაძლებელი დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ უნდა იქნას დროული ზომები ასეთი ბოძების უსაფრთხო ადგილზე გადასატანად.

სასაზღვრო ბოძების ახალ ადგილზე გადატანა საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია აგრეთვე საზღვრების ხევიან უბნებზეც. სასაზღვრო ბოძების ადგილმდებარეობის აღნიშნული ცვლილებები საზღვრის წყლისა და ხევიან უბნებზე წარმოებს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა თანხმობით.

5. ახალ ადგილზე სასაზღვრო ნიშნის აღსადგენად, შესაკეთებლად სსსრ-გებად ჩატარებული სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების დამდებ მხარეები ადგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და უნგრულ ენებზე.

ახალ ადგილზე აგებულ თითოეულ სასაზღვრო ნიშანზე, ამას გარდა, ერთი თვის განმავლობაში შედგება სასაზღვრო ნიშნის ოქმი და სქემა-კოკი, რომლებიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს რედემარკაციის დანარჩენ დოკუმენტებს და დაერთვის მათ.

6. საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთ შეუძლიათ ურთიერთ შეთანხმებით საზღვრის ხაზზე დააყენონ დამატებითი სასაზღვრო ნიშნები, თუ ამასთან არ შეიცვლება საზღვრის ხაზის თვით ვატარება.

საზღვარზე დამატებით დადგმული სასაზღვრო ნიშნები უნდა გაფორმდეს დოკუმენტებით, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის 5 პუნქტში.

7. აღდგენის დროს ახლად დამზადებული, აგრეთვე სასაზღვრო ნიშნები, რომლებსაც ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი დამატებით დადგამენ საზღვარზე, უნდა შეესაბამებოდეს ნიმუშებს, რომლებსაც ადგენენ ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი მხარეთა შორის დადებული შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

8. ამ ხელშეკრულების 8 მუხლის შესაბამისად, ამა თუ იმ მხარეზე მიმაგრებული სასაზღვრო ნიშნების შესაკეთებელ სამუშაოებს ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე აწარმოებს დამოუკიდებლად, მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე.

9. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ ზომებს სასაზღვრო ნიშნების სათანადოდ დასაცავად და პასუხისგებაში მისცემენ იმ პირებს, რომლებიც ცნობილ იქნებიან დამნაშავედ სასაზღვრო ნიშნების გადაადგილებაში, დაზიანებასა და მოსპობაში. ასეთ შემთხვევებში მეორე მხარის მკნაფრებთა მიერ დაზიანებული ან მოსპობილი სასაზღვრო ნიშნები აღდგენილ უნდა იქნას ამ მხარის ხარჯზე.

### მუხლი 11

1. სასაზღვრო განაკაფი 10 მეტრის სიგანით ხეების ვარჯებს შორის (საზღვრის ხაზიდან თითოეულ მხარეს 5-5 მეტრი) უნდა იმყოფებოდეს სრულ წესრიგში და საჭიროებისა და მიხედვით უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარისა და ხილვადობის სხვა ხელშემშლელი ბარდებისაგან. მიწის გადახვნა და რაიმე შენობების ან ნაგებობათა აგება ამ განაკაფზე დაუშვებელია.

2. ყოველი მხარე ასუფთავებს სასაზღვრო განაკაფს თავის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ერთმანეთს აცნობებენ სასაზღვრო განაკაფის მომავალი გასასუფთავებელი სამუშაოების დაწყების შესახებ არა უგვიანეს ათი დღისა. ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწონ ამ სამუშაოებს.

## მუხლი 12

1. საზღვრის სახმელეთო უბნებზე, 10 მეტრის სიგანის ზოლში (საზღვრის ხაზიდან თითოეულ მხარეს 5-5 მეტრი) არ უნდა იყოს არავითარი ნაგებობები და შენობები. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ ღონისძიებებს ამ ზოლის თანდათანობით გასათავისუფლებლად ამჟამად არსებული ნაგებობებისა და შენობებისაგან და აკრძალავენ ახლის აგებას. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთ ურთიერთ შეთანხმებით შეუძლიათ დაუშვან გამონაკლისი. ეს დადგენილებები არ გავრცელდება იმ ნაგებობებსა და შენობებზე, რომლებიც განკუთვნილია საზღვრის დაცვისათვის.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმისათვის, რომ საზღვრის ხაზთან უშუალოდ ახლო მდებარე ნაგებობანი, და შენობები, როგორც დატოვებული, ისე ახლად ასაგები პასუხობდნენ ხანძრის საწინააღმდეგო წესების მოთხოვნილებებს. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი ურთიერთ შორის გაცვლიან ამ წესებს.

## ბანყოფილება II

სასაზღვრო წყლებით და საზღვრის ხაზის გადამკვეთი რკინიგზებითა და გზატკეცილებით სარგებლობის წესი

### მუხლი 13

1. ყველა მდინარე, ნაკადული და არხი იმ უბნების ფარგლებში, რომლებზედაც გადის საზღვრის ხაზი, ითვლება სასაზღვრო წყლებად.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ სასაზღვრო წყლებით სარგებლობის დროს დაცულ იქნას ამ ხელშეკრულების დადგენილებები და პატივი სცენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის შესაბამის უფლებებსა და ინტერესებს.


### მუხლი 14

1. ხელშეკრულების დამდები მხარეების ზომალდებს და სასაზღვრო ორგანოების ნაგებს შეუძლიათ ინაოსნონ მდინარე ტისას მთავარი ფარგატერის მთელ სიგანეზე, ხოლო ხელშეკრულების დამდები მხარეების დანარჩენ ნაგებს — საზღვრის ხაზამდის, რომელიც გადის მდინარის შუაზე.

2. ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის სანაოსნო საშუალებებს (ზომალდებს, ნაგებს) შეუძლიათ მიადგნენ მეორე მხარის მდინარის ნაპირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან გაჭირვებაში (ღელვა, ავარია და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მესაზღვრე ხელისუფალნი ერთმანეთს გაუწევენ საჭირო დახმარებას.

### მუხლი 15

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სანაოსნო საშუალებებს სასაზღვრო წყლებში ნაოსნობის უფლება ეძლევათ მხოლოდ დღისით. ღამით ისინი უნდა იყვნენ თავისი ნაპირის ნავსაბელში ან ღუზაზე თავის წყლებში.





დღედ ითვლება დრო მზის ამოსვლამდე ნახევარი საათის მომენტიდან მზის ჩასვლის შემდეგ ნახევარი საათის მომენტამდე.

2. სასაზღვრო წყლებში მონაოსნე ხელშეკრულების დამდები მხარეებმა ყველა სანაოსნო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ: თვითმავალ ზომალდებს და თვითმავალ სატრანსპორტო კარკაპებს — თავისი სახელმწიფოს შესაბამისი ალაში და სახელწოდება, ან ნომერი, რომლებიც მინიჭებული აქვთ მათ; ნაევებს — ცხვირზე და კიჩოზე სახელმწიფო ალმისფერი ზოლები და ნომრები, რომლებიც მინიჭებული აქვთ მათ.

სახელწოდება და ნომრები უნდა წაეწეროს თეთრი ან შავი საღებავით და ნათლად უნდა ჩანდეს ორივე ნაპირიდან.

## მუხლი 16

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები იბრუნებენ იმისათვის, რომ სასაზღვრო წყლები იქონიონ სათანადო წესრიგში. ისინი მიიღებენ აგრეთვე ზომებს სასაზღვრო წყლების ნაპირების განზრახ დანგრევის თავიდან ასაცილებლად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის მიზეზით, ამ მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნილებათა შეუსრულებლობის შედეგად, მატერიალურად დაზარალებდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე, მაშინ ამ ზარალს აანაზღაურებს ის მხარე, რომელმაც მიაყენა ეს ზარალი.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების მდებარეობა და მიმართულება შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულ უნდა იქნას უცვლელად. ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი ერთად განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი დაზარალებანი, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულების ან არხების კალაპოტის მდებარეობის შეცვლა, აგრეთვე შეაფერხონ მათი ბუნებრივი დინება. ამისათვის საჭირო სამუშაოების ერთად წარმოების შემთხვევაში, ასეთ სამუშაოთა წესს ადგენს ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფალნი, ამასთან ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის წარმოებასთან, თანაბრად ნაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის, თუ ამ საკითხზე მიღწეულ არ იქნება განსაკუთრებული შეთანხმება.

4. სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულების ან არხების კალაპოტის მდებარეობის შეცვლის თავიდან აცილების მიზნით მათი ნაპირები გამაგრებულ უნდა იქნას იქ, სადაც ამას საჭიროდ ცნობენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფალნი. ამ სამუშაოებს აწარმოებს და შესაბამის ხარჯებს იღებს ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის ნაპირი.

5. სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულების ან არხების კალაპოტის მდებარეობის ბუნებრივი გზით ან სტიქიური მოვლენის შედეგად ცვლილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არიან ერთად და თანაბარ საწყისებზე აწარმოონ კალაპოტის გასწორება, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან მათი შესაბამისი ხელისუფალნი. ეს სამუშაოები წარმოებულ იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული 1950 წლის 9 ივნისის კონვენციის შესაბამისად.



## მუხლი 17

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებში და მის ახლო მდებარე ადგილებში მღებებიც წყალდიდობის დროს წყლით იფარება, წყლის ბუნებრივი დინება მეორე მხარის საზიანოდ არ შეიძლება შეიცვალოს ან შეფერხებულ იქნას ნაგებობებისა და შენობების აგებით ან გადაკეთებით როგორც წყალზე, ისე მის ნაპირებზე.

2. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შესაბამისი ხელისუფალნი შეთანხმდებიან სასაზღვრო წყლებში დინების მოწყობისა და მათგან წყლის გადაადგების წესის შესახებ, აგრეთვე ყველა სხვა საკითხებზე, რომლებიც მიეკუთვნება სასაზღვრო წყლების რეჟიმს.

## მუხლი 18

1. სასაზღვრო გამდინარე წყლები უნდა გაიწმინდოს იმ უბნებზე, სადაც ამას ერთად საჭიროდ ცნობს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შესაბამისი ხელისუფალნი. ასეთ შემთხვევებში გაწმენდის ხარჯები თანაბრად განაწილება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

2. სასაზღვრო წყლების იმ უბნების გაწმენდას, რომლებიც მთლიანად ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს, ეს მხარე აწარმოებს თავის ხარჯზე საჭიროებისა და მიხედვით.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების გაწმენდის დროს ამოღებული გრუნტი და ქვები უნდა გადაიყაროს ნაპირიდან ისეთ მანძილზე და მოსწორდეს ისეთნაირად, რომ არ იყოს ნაპირების ჩამონგრევისა და კალაპოტის დანაგვიანების საშიშროება და რომ წყლის დინება წყალდიდობის დროს არ შეფერხდეს.

## მუხლი 19

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რათა სასაზღვრო წყლები დაცულ იქნას სათანადოდ სუფთად, რომ არ დაუშვან მათი მოწამვლა ან გაბინძურება მჟავეებით და საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა ნარჩენებით, აგრეთვე ყოველგვარი სხვა დანაგვიანება.

## მუხლი 20

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე არსებული ხიდები, კაშხალები, რაბები, ჯებირები და მსგავსი ნაგებობანი დაცულ იქნება და შეიძლება მათი ექსპლუატაცია, ისეთების გამოკლებით, რომელთა მოშლა საჭიროდ იქნება მიჩნეული ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მიერ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ნაგებობათა მოშლის ან ხელახლა მოწყობის საჭიროების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს წყლის დონის შეცვლას ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, შესაბამის სამუშაოთა

დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება ამაზე ამ მხარის  
თანხმობა.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ახალი ხიდების, კაშხალების, ჯანსაღების, ჯანსაღებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აგება, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია იწარმოებს მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმებით.

### მუხლი 21

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შესაბამისი ხელისუფალნი ურთიერთ-შორის და დროულად გაცვიან მონაცემებს მდინარეებში ყინულის დონისა და მდგომარეობის შესახებ, რომლებითაც დაინტერესებული არიან ხელშეკრულების დამდები მხარეები, თუ ასეთი მონაცემებით შეიძლება თავიდან აცალკეულ იქნას წყალდიდობითა და ყინულსვლით შექმნილი საფრთხე.

ეს ხელისუფალნი შეთანხმდებიან წყალდიდობისა და ყინულსვლას დროს რეგულარული სიგნალიზაციის შესახებ. ასეთი მონაცემების შეტყობინების შეფერხება ან მათი არ გამოგზავნა არ შექმნის მოთხოვნის წარდგენის საფუძველს წყალდიდობით ან ყინულსვლით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

### მუხლი 22

1. სასაზღვრო გამდინარე წყლების მთელ მანძილზე, იმ ადგილების ჩათვლითაც, სადაც ორივე ნაპირი ეკუთვნის ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს, ორივე მხარისთვის ხე-ტყის მასალის დაცურება იწარმოებს დაუბრკოლებლად.

2. ხე-ტყის მასალის წყალში ჩაშვების და მისი დაცურების ვადები და რიგი, ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, დადგინდება ყოველ წელს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფლების მიერ წინასწარ და, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ორი თვისა სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ნავიგაციის დაწყებამდე. დასაცურებელი სამუშაოების დაწყების დღის შესახებ ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე ერთმანეთს აცნობებს არა უგვიანეს 5 დღისა.

### მუხლი 23

1. ხე-ტყის მასალების ნორმალურად დაცურების უზრუნველსაყოფად, ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალთ ურთიერთ შორის შეთანხმებით შეუძლიათ დაუშვან მუშების მოსაზღვრე ნაპირზე გადასვლა და იქ მიმოსვლა ხე-ტყის გატარებისათვის დროებითი დასაცურებელი ნაგებობების შესაქმნელად და ამ ნაპირის დასაცურებელი მერქანისაგან გასაწმენდად.

2. ადგილის, საზღვარზე გადასვლის დროისა და მუშების რაოდენობის შესახებ, რომელთათვის მოსაზღვრე ნაპირზე გადასვლა საჭიროა ამ პუნქტის 1 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან წინასწარ, ე. ი. არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლებით დაცურებული ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ხე-ტყის მასალა არ დაიზებება არავითარი საბაჟო გადასახადებით და სხვა გამოსაღებებით.

ამ პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება ხე-ტყის მასალაზე, რომელიც დაცურებულ იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე.

#### მუხლი 24

1. ყველა დასაცურებელი ხე-ტყის მასალა დატვიფრულ უნდა იქნას, რისთვისაც ხელშეკრულების დამდები მხარეები ურთიერთშორის შეთანხმებით წინასწარ ადგენენ ტვიფარის ნიშუს და ურთიერთშორის ცვლიან მას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დასაცურებელი ხე-ტყე გასუფთავებულ იქნება ქერქისაგან, მაშინ მოცილებული ქერქი არ უნდა მოხვდეს სასაზღვრო გამდინარე წყლის აუზებში.

#### მუხლი 25

იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სასაზღვრო წყლებით სარგებლობის, მათი მოვლის, სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ხე-ტყის მასალის დაცურების წესს, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიურ საკითხებზე თანამშრომლობას, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა დაიდოს სპეციალური შეთანხმებები.

#### მუხლი 26

1. საზღვრის გადაკვეთ რკინიგზებზე და გზატკეცილებზე, აგრეთვე სანაოსნო გზებზე მიმოსვლა და ამ გზებზე საზღვარზე გადასასვლელი პუნქტები ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის დადგინდება სპეციალური შეთანხმებებით.

2. იმ ადგილებზე, სადაც საზღვრის ხაზს კვეთენ რკინიგზები და გზატკეცილები, აგრეთვე სანაოსნო გზები, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე დგამს და სათანადოდ მოვლილი აქვს სპეციალური ნიშნები და შლაგბაუმები, ხოლო იქ სადაც საზღვრის ხაზს ჰკვეთენ სანაოსნო გზები — სპეციალური ნიშნები.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ რკინიგზებისა და გზატკეცილების და სანაოსნო გზების უბნები იმ ადგილებში, სადაც ისინი გადაკვეთენ საზღვრის ხაზს და ღია არიან მოძრაობისათვის, იქონიონ წესიერ მდგომარეობაში. მათ შეეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ხარჯზე საზღვრის ხაზამდე.



1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ადასტურებს 1948-1949 წლებში რედემარკაციით დადგენილ დებულებას იმის შესახებ, რომ ხიდები საზღვრის ხაზით იყოფა შუაზე, წყალზე საზღვრის ხაზის გატარებისაგან დამოუკიდებლად.

2. ის ხიდები, რომლებიც ღიაა მოძრაობისათვის და ჰკვეთენ საზღვარს, უნდა იყოს წესრიგში და მათ შეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ხარჯზე ხიდზე გავლებული საზღვრის ხაზამდე, თუ ამ საკითხზე მიღწეულ არ იქნება განსაკუთრებული შეთანხმება. შეკეთების წესის, ვადებისა და ხასიათის შესახებ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან წინასწარ.

3. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია საჭიროებისა და მიხედვით აწარმოოს მეორე მხარის ტერიტორიაზე განლაგებული სასაზღვრო ხიდების ნაწილების ტექნიკური დათვალიერება; ამ მხარის სათანადო ხელისუფალთ უნდა ეცნობოს არა უგვიანეს 48 საათისა მოსალოდნელი დათვალიერების შესახებ, მისი დაწყების ვადის აღნიშვნით, ხოლო დათვალიერების შემდეგ — მისი შედეგების შესახებ, ამასთან დათვალიერება წარმოებს ამ მხარის სათანადო ხელისუფალთა თანდასწრებით.

4. სასაზღვრო ხიდებზე და სხვა გასასვლელებზე მოძრაობის წესი დადგენილ იქნება სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების შეთანხმებით.

5. ამ მუხლის დადგენილებანი არ ეხება რკინიგზის ხიდებს.

6. ახალი ხიდების, ნაწყობის ან ბორნების აგება წარმოებს ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების შეთანხმებით. ეს წარმომადგენლები წინასწარ შეთანხმდებიან მშენებლობის ადგილის შესახებ, ზიდის, ნაწყობის ან ბორნის ტიპის შესახებ და ამ ხიდების, ნაწყობის ან ბორნების აშენებასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების წესის შესახებ, ოქმებს, რომლებიც ადგენენ ასეთ შეთანხმებებს, ამტკიცებენ შესაბამისი ინსტანციები.

## მუხლი 28

თუ ამ ხელშეკრულების 16, 18 და 27 მუხლებში აღნიშნულ ერთობლივ სამუშაოთა წარმოების დროს წარმოიშვება ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე მასალების გადაზიდვის საჭიროება, მაშინ ამ შემთხვევაში ასეთი მასალები საზღვარზე გადაზიდვის დროს გათავისუფლდება ყოველგვარი გამოსაღებისა და ბაჟისაგან.

შემოზიდული მასალის შემოწმების წესს ერთად განსაზღვრავენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი.



თევზის ჭერა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და სამთო საქმე  
საზღვრის ახლოს

**მუხლი 29**

1. ხელშეკრულების დამდებ თითოეული მხარის მცხოვრებთ შეუძლიათ სასაზღვრო წყლებში თევზის ჭერა საზღვრის ხაზამდე მათ ტერიტორიაზე მოქმედი წესებით იმ პირობით, რომ აკრძალულია:

a) ფეთქებადი, შხამიანი და გამაბრუებელი ნივთიერებების გამოყენება, რაც დაკავშირებულია თევზის მასობრივ გაწყვეტასა და დაშავებასთან;

b) თევზის ჭერა სასაზღვრო წყლებში დამით.

2. სასაზღვრო წყლებში თევზის დაცვა და გამრავლება, აგრეთვე, ცალკეული ჯიშების თევზის ჭერის აკრძალვა ამა თუ იმ უბანზე, მეთევზეობის ვადები და ეკონომიური ხასიათის სხვა ღონისძიებები, რომლებიც მეთევზეობას ეხება, შეიძლება გადაიჭრას ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმებებით.

**მუხლი 30**

1. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თვალყურს ადევნებს იმას, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ნადირობის წესი მტკიცედ იყოს დაცული საზღვრის ხაზის ახლოს და რომ სროლა და ნადირისა და ფრინვლის დევნა საზღვრის გადაღმა არ იქნას დაშვებული.

2. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი საჭიროებისდა მიხედვით ურთიერთ შეთანხმდებიან ნადირისა და ფრინვლის დაცვის ყველა საკითხზე, აგრეთვე საზღვრის ცალკეულ უბნებზე ნადირობის აკრძალვის ერთი და იმავე ვადების შესახებ.

**მუხლი 31**

1. იმ უბნებზე, რომლებიც ეკვირან საზღვრის ხაზს, ხელშეკრულების დამდები მხარეები სატყეო მეურნეობას წარმართავენ ისე, რომ ზარალი არ მიაყენონ მეორე მხარის სატყეო მეურნეობას.

2. საზღვრის ახლოს ტყის ხანძრის გაჩენისას ხელშეკრულების დამდებმა ერთ-ერთმა მხარემ, რომლის ტერიტორიაზეც გაჩნდა ხანძარი, შეიძლებისამებრ უნდა მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა ხანძრის ლოკალიზაციისათვის და ჩასაქრობად, აგრეთვე არ დაუშვას საზღვრიდან მისი გავრცელება.

3. საზღვრიდან ტყის ხანძრის გავრცელების საფრთხის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სათანადო ხელისუფალნი, რომლის ტერიტორიაზე გაჩნდა ეს საფრთხე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აფრთხილებენ

ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ <sup>საზღვარზე</sup>  
ზე ხანძრის ლოკალიზაციისათვის სათანადო ზომების მისაღებად.

4. თუ ბუნებრივ მოვლენათა შედეგად ან ტყის ჭრის დროს ხეები წაიჭე-  
ცევა საზღვრის ხაზს გადაღმა, მაშინ ხელშეკრულების დამდები მხარეების სა-  
თანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რათა ეს ხეები გატანილ იქნას იმ  
მხარის ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ასეთი შემთხვევის შესა-  
ხებ იმ მხარის სათანადო ხელისუფლებმა, რომელთაც ეკუთვნის ხეები, უნდა  
შეატყობინონ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

ასეთ შემთხვევებში ხეების გადაზიდვა საზღვარზე თავისუფალია ყოველ-  
გვარი გამოსაღებებისა და გადასახადებისაგან.

### მუხლი 82

1. საზღვართან უშუალოდ ახლოს სამთო საქმისათვის და მინერალური  
წიაღისეულის საძიებო სამუშაოებისათვის მოქმედებს იმ მხარის წესები, რომ-  
ლის ტერიტორიაზე მდებარეობს დამუშავების ადგილები.

2. საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად მის ორივე მხარეზე უნდა  
არჩებოდეს 20 მეტრი სიგანის ზოლი, რომელშიც ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამო-  
თვლილი სამუშაოები, როგორც წესი აკრძალულია და დაიშვება მხოლოდ გან-  
საკუთრებულ შემთხვევებში ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო  
ხელისუფალთა შეთანხმებით.

3. თუ ცალკეულ შემთხვევებში ამ მუხლის 2 პუნქტში აღნიშნული ზოლე-  
ბის დაწესება მიზანშეწონილი არ არის, ხელშეკრულების დამდები მხარეთა  
სათანადო ხელისუფალნი ურთიერთ შეთანხმებით, საზღვრის ხაზის დაცვის  
უზრუნველსაყოფად, დაადგენენ სხვა დამცველ ღონისძიებებს.

### განყოფილება IV

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი უფლება-მოვალეობანი და საზღვარზე  
გადასვლის წესი

### მუხლი 83

ამ ხელშეკრულებებში ნახსენები სათანადო ხელისუფალნი არიან საბჭო-  
თა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რეს-  
პუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწენი.

### მუხლი 84

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და უნ-  
გრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თითოეული ნიშნავს მესაზღვრე  
რწმუნებულს და მის მოადგილეს.

2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა შეასრულონ ის მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.

3. მოადგილეები, როცა ისინი მხარეთა წარმომადგენლები არიან, სარგებლობენ მესაზღვრე რწმუნებულთა ყველა უფლებით.

### მუხლი 85

1. მესაზღვრე რწმუნებულები არიან:

A) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მხარეზე

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვრის მესაზღვრე რწმუნებული სამოქმედო უბნით სასაზღვრო ნიშან „ტისიდან“, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე, სასაზღვრო ნიშან „ტურამდე“, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე.

B) უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მხარეზე

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის მესაზღვრე რწმუნებული სამოქმედო უბნით სასაზღვრო ნიშან „ტისიდან“, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე, სასაზღვრო ნიშან „ტურამდე“, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე.

2. მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების გვარები და სახელები და მათი ოფიციალური ადგილსამყოფელი ურთიერთ ეცნობებათ დიპლომატიური წესით.

3. მესაზღვრე რწმუნებულების, მათი თანამდებობრივი მდგომარეობის, სამოქმედო უბნებისა და ოფიციალური ადგილსამყოფელის ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში ორივე მხარე ასეთი ცვლილებების შესახებ შეთანხმდება დიპლომატიური წესით.

### მუხლი 86

1. მესაზღვრე რწმუნებულებს უფლება აქვთ დაინიშნონ საჭირო რაოდენობით თანაშემწენი, აგრეთვე მოიწვიონ ექსპერტები.

2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები ერთმანეთს შეატყობინებენ თავიანთი თანაშემწეების გვარს, სახელს და ოფიციალურ ადგილსამყოფელს თავიანთ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეების რიცხვი და მათი ოფიციალური ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს შესაბამის მესაზღვრე რწმუნებულთა მიერ, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

4. თანაშემწეების უფლებათა მოცულობა განსაზღვრულია რწმუნებულებით, რომლებსაც გასცემენ მესაზღვრე რწმუნებულები.



### მუხლი 37

ამ ხელშეკრულების 33 მუხლში ნახსენებ პირებს წერილობით რწმუნებებს, შედგენილს რუსულ და უნგრულ ენებზე, აძლევს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულს და მის მოადგილეს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულს და მის მოადგილეს — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების უფროსი.

თანაშემწეებს — შესაბამისი მესაზღვრე რწმუნებულები.

### მუხლი 38

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან:

1. მიიღონ საჭირო ზომები საზღვარზე ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესრიგის და დევვის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

2. რომელიმე პირთაგან ამა თუ იმ მხარეზე საზღვრის არალეგალურად გადასვლის ხელშეშლის მიზნით მიიღონ საჭირო ზომები და აცნობონ მათ შესახებ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

3. გამოაძიონ და გადაჭრან საზღვრის რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა, იმ შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც მოითხოვენ დიპლომატიური წესით გადაჭრას.

4. მათივეს მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში გამოიძიონ და გადაჭრან პრეტენზიები ყოველგვარი სახის ანაზღაურებაზე, რომელიც შედეგია საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევისა და წარმოდგენილია ერთ-ერთ მხარის ან პირთა მიერ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

საზღვრის რეჟიმის დარღვევის შემთხვევების გადაჭრასთან ერთად სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან აგრეთვე იმ ქონების დაბრუნების წესის შესახებ, რომელიც მოხვდა მეორე მხარის ტერიტორიაზე.

5. იმ შემთხვევაში თუ შინაური ცხოველები და ფრინველები გადავლენ საზღვარზე მეორე მხარის ტერიტორიაზე ამ მხარის სათანადო ხელისუფალნი ზომებს მიიღებენ მათ მოსაძებნად და იმ მხარის ტერიტორიაზე დასაბრუნებლად, საიდანაც ისინი მოვიდნენ. მაგრამ უშედეგო ძებნა ანაზღაურების პრეტენზიის საფუძველად არ გამოდგება.

### მუხლი 39

1. ის პირნი, რომლებიც განუზრახველად უკანონოდ გადმოვიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გადაეცინენ იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულს, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი მოვიდნენ.



2. მესაზღვრე რწმუნებულების მიერ განსაზღვრულ უნდა იქნას ამ მუხლის 1 პუნქტში ნახსენები პირების დაბრუნების წესი. ამასთან ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთ მათგანს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ პირების უკან მიღებაზე.

#### მუხლი 40

1. საბჭოთა ან უნარგელი მოქალაქენი, რომლებიც განზრახ არალეგალურად გადავიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ, დამკავებელი მხარის სათანადო ხელისუფალთა გადაწყვეტილებით გადაეცემიან იმ მხარის სათანადო ხელისუფალთ, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი მოვიდნენ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში ნახსენები პირები შეიძლება არ გადაეცენ მეორე მხარეს თუ:

a) ისინი არიან იმ მხარის მოქალაქენი, რომელმაც ისინი დააკავა;

b) გარდა დანაშაულისა — საზღვრის არალეგალურად გადასვლა, მათ ჩაიდინეს სხვა დანაშაული იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც ისინი გადავიდნენ.

3. თუ მხარე, რომელმაც დააკავა ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული პირები, საჭიროდ დაინახავს აწარმოოს დამატებითი გამორკვევები, მაშინ მას შეუძლია დააკავოს ეს პირები იმ დრომდე, რაც საჭირო იქნება ასეთი გამორკვევის საწარმოებლად, აცნობებს რა დაკავების შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას საკითხზე დაკავებულ პირთა გადაცემის შესახებ ლებულობენ დაკავებული მხარის შესაბამისი ხელისუფალნი ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად.

4. თუ ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ პირთა გადაცემა არ წარმოებს 2 პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებით ან არ შეიძლება მოხდეს დაუყოვნებლივ სხვა რაიმე მიზეზების გამო, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

#### მუხლი 41

1. პირთა მიერ საზღვრის ხაზზე გადასვლა (გადაფრენა) და მისი სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთა, თუ ამაზე შესაბამისი ნებართვა არსებობს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზღვრის გადასვლის (გადაკვეთის) პუნქტებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის. საზღვრის გადასვლის სხვა წესი შეიძლება დადგენილ იქნას მხარეთა შეთანხმებით.

2. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიიდან სასაზღვრო პუნქტზე გავლით გადმოსული პირები, რომელთაც მეორე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოების აზრით არა აქვთ სათანადო დოკუმენტები, მათი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა მიიღოს იმ მხარემ, საიდანაც ისინი მოვიდნენ.



1. თითოეულ მესაზღვრე რწმუნებულს უფლება აქვს საკუთარი მესაზღვრე ლეზისამებრ ყოველი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გადასცეს დიპლომატიური წესით გადასაჭრელად, აცნობებს რა ამის შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

2. განსაკუთრებით სერიოზული შემთხვევები საზღვარზე, როგორც არის, მაგალითად, მკვლელობა და სხეულის მძიმე დაზიანება, ყოველთვის უნდა გადაიჭრას დიპლომატიური წესით.

მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე რწმუნებულებმა უნდა აწარმოონ ამ შემთხვევის შესაბამისი გამოძიება და გამოძიების შედეგები ჩაწერონ სხდომის ოქმში.

3. შემთხვევები, რომელთა მოწესრიგების შესახებ მესაზღვრე რწმუნებულები ვერ შეთანხმდნენ, გადასაჭრელად გადაეცემა დიპლომატიური წესით.

ამ მუხლის დადგენილებები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ საკითხი, რომელიც განიხილებოდა დიპლომატიური წესით, კვლავ გადაეცეს გადასაჭრელად მესაზღვრე რწმუნებულებს.

### მუხლი 43

1. მესაზღვრე რწმუნებულთა და მათ მოადგილეთა მიერ ერთად მიღებულ დიდგენილებანი, რომლებიც ამოწურავენ საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევას, სავალდებულოა და საბოლოოა და ძალაში შედის განხილული საკითხის ოქმზე ხელის მოწერის მომენტიდან.

მაგრამ პრეტენზიები ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელთა ოდენობა აღემატება 500 მანეთს (ზარალი, რომელიც მიყენებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე) და 7000 ფორინტს (ზარალი, რომელიც მიყენებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე) გადაეცემა მხარეთა შესთანხმებლად დიპლომატიური წესით.

2. თანხის გამოანგარიშებას, რომელიც ერგება თითოეულ მხარეს ზარალის ანაზღაურების შესახებ მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, მესაზღვრე რწმუნებულები აწარმოებენ ყოველი წლის 31 მარტს, 30 ივნისს, 30 სექტემბერს და 31 დეკემბერს.

### მუხლი 44

თითოეული მხარე დაფარავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი მოვალეობის შესრულებასთან. აღნიშნული წესი არ ეხება ანგარიშსწორების წესს იმ ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჰიდროტექნიკური საბუთაობების შესრულებასთან, რაც მოწესრიგდება სპეციალური შეთანხმებით.

ხელშეკრულების დადგენილებებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებათა წესი დადგენილ იქნება დიპლომატიური გზით.

1. მესაზღვრე რწმუნებულები და მათი მოადგილეები ერთად მუშაობენ ახორციელებენ, როგორც წესი, სხდომებზე ან შეხვედრების დროს. მესაზღვრე რწმუნებულების ან მათი მოადგილეების თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც მოკლედ უნდა აისახოს სხდომის მსვლელობა, მიღებული დადგენილებანი და მათი შესრულების ვადა.

წერილმანი საკითხები შეიძლება გადაიჭრას რწმუნებულებს შორის მიმორწმუნის გზით ან კავშირის სხვა საშუალებებით, თუ არც ერთი მათგანი არ მოითხოვს ასეთი საკითხის განხილვას სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

2. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწენი, როგორც წესი, ერთად მუშაობენ შეხვედრების დროს. თანაშემწეების თითოეულ შეხვედრაზე დგება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით იქნება აღნიშნული მათ მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ, ხოლო საპირო შემთხვევებში ჩაიწერება დასკვნები და წინადადებები. თანაშემწეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძალაში შედის მხოლოდ მესაზღვრე რწმუნებულთა მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

საკითხები, რომლებზედაც თანაშემწეებს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება, გადასაჭრელად გადაეცემა მესაზღვრე რწმუნებულებს.

ოქმები მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების სხდომების შესახებ, აგრეთვე თანაშემწეებს შეხვედრების შესახებ შედგება ორ ევზემპლარად, თითოეული რუსულ და უნგრულ ენებზე.

#### მუხლი 46

1. მესაზღვრე რწმუნებულთა სხდომები ან შეხვედრები ეწყობა ერთ-ერთი მათგანის წინადადებით და შეძლებისამებრ იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია წინადადებაში. პასუხი მიწვევაზე უნდა მიეცეს შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 48 საათისა მიწვევის მიღების მომენტიდან. თუ სხდომის ან შეხვედრის შეთავაზებული ვადა მისაღები არ არის, საპასუხოდ მაშინვე შეთავაზებულ უნდა იქნას სხვა ვადა.

2. სხდომაზე ან შეხვედრაზე, რომელზედაც იწვევს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებული, პირადად უნდა მოვიდეს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებული. თუ იგი ადგილზე არ იმყოფება საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, მივლინება, შვებულება), ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე რწმუნებულს ცვლის მისი მოადგილე, რის შესახებ მესაზღვრე რწმუნებული დროულად აცნობებს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა შორის შეთანხმებით შეიძლება მოეწყოს მათი მოადგილეთა სხდომები და შეხვედრები.

თანაშემწეთა შეხვედრები ხდება მხოლოდ მესაზღვრე რწმუნებულთა და ვალებით.

4. მესაზღვრე რწმუნებულთა, მათ მოადგილეთა ან თანაშემწეთა სხდომებში ან შეხვედრებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ თითოეული მხარის მდიენებმა, მთარგმნელებმა, ექსპერტებმა და სხვა პირებმა.

## მუხლი 47

1. სხდომები და შეხვედრები, რომლებზედაც ლაპარაკია ამ ხელშეკრულების 46 მუხლში, უნდა გაიმართოს, როგორც წესი, იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მესაზღვრე რწმუნებულის ინიციატივით ეწყობა სხდომა ან შეხვედრა, მაგრამ მესაზღვრე რწმუნებულებს ან მათ თანაშემწეებს შეუძლიათ გადაუხვიონ ამ პრინციპს, თუ ასეთი გადახვევის სასარგებლოდ ლაპარაკობს მიზანშეწონილობის მოსაზრებანი.

2. სხდომები ან შეხვედრები წარმოებს იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ან თანაშემწის ხელმძღვანელობით, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

3. სხდომის დღის წესრიგი წარდგენილ უნდა იქნას მოწვევასთან ერთად და დადგენილ უნდა იქნას წინასწარი მოლაპარაკების გზით ან წერილების გაცვლის გზით. საჯანგებო შემთხვევებში ურთიერთ შეთანხმებით განსახილველად შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში არ არის დანიშნული.

## მუხლი 48

მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს შეუძლიათ ამაზე წინასწარ შეთანხმებით საქმის არსის გამოსარკვევად აწარმოონ ადგილებზე საზღვაო რე წესრიგის დარღვევის შემთხვევების გამოძიება.

ასეთ გამოძიებას ხელმძღვანელობს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იგი წარმოებს.

გამოძიების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი აქტები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ სხდომის ოქმს დაერთვის. აღნიშნული აქტები და სხვა დოკუმენტები შედგება ამ ხელშეკრულების 45 მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

ადგილებზე ერთად გამოძიება არ განიხილება როგორც სასამართლო ძიება ან მსჯავსი მოქმედება, რომელიც შედის თითოეული მხარის სასამართლო ან ადმინისტრაციულ ხელისუფალთა კომპეტენციაში.

## მუხლი 49

ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში ერთმანეთს აცნობონ მიღებული ზომების შესახებ იმ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც მიღებულია სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

## მუხლი 50

1. მესაზღვრე რწმუნებულები ამაზე ურთიერთშეთანხმებით აწესებენ საზღვარზე შესახვედრ პუნქტებს, რომლებშიც წარმოებს მათი სამსახურებრივი კორესპონდენციის გაცვლა, აგრეთვე ხდება ხალხისა და ქონების გადაცემა.



ყველი ასეთი გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ ერთმანეთს შეთანხმდებიან მესაზღვრე რწმუნებულები ან მათი თანაშემწეები.

2. ხალხის გადაცემა უნდა წარმოებდეს პირადად მესაზღვრე რწმუნებულების ან მათი თანაშემწეების მიერ. ამ მუხლში ჩამოთვლილი ყველა სხვა სამსახურებრივი ფუნქცია შეუძლიათ აწარმოონ ორივე მხარის სასაზღვრო ჯარების ოფიცრებმა მესაზღვრე რწმუნებულების დავალებით და მათ დაუსწრებლად.

3. სამსახურებრივი კორესპონდენცია მიღებულ უნდა იქნას მთელი დღე-ღამის განმავლობაში, დღესასწაულებისა და სამუშაოდან თავისუფალი სხვა დღეების ჩათვლით.

4. ცხოველებისა და ფრინველების გადაცემა წარმოებს მათ მიერ საზღვრის გადასვლის რაიონში.

5. მესაზღვრე რწმუნებულები ურთიერთშეთანხმებით აწესებენ ხელწერილთა ნიმუშებს, რომლებიც გაიცემა კორესპონდენციის ან ცხოველებისა და სხვა ქონების მიღების დროს.

6. მესაზღვრე რწმუნებულები შეთანხმდებიან სიგნალების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მეორე მხარის სასაზღვრო დაცვის გამოსაძახებლად, ხოლო იქ, სადაც შესაძლებელია მოაწყობენ ერთმანეთთან სატელეფონო ან სხვა კავშირს.

7. საზღვარზე შეხვედრის პუნქტების დაწესებას მესაზღვრე რწმუნებულები მოახდენენ მათ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

ამ შესახვედრი პუნქტების რიცხვისა და ადგილის შეცვლა მესაზღვრე რწმუნებულებმა შეიძლება მოახდინონ ურთიერთ შეთანხმებით.

## მუხლი 51

1. მესაზღვრე რწმუნებულებს, მათ მოადგილეებს, თანაშემწეებს, მდივნებს, მთარგმნელებს და ექსპერტებს შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე თავიანთი სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები გადადიან საზღვარზე ამ ხელშეკრულების 37 მუხლით გათვალისწინებულ წერილობითი რწმუნების საფუძველზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა, ხოლო თანაშემწის რწმუნებაზე, ამის გარდა, მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (რწმუნების ნიმუშები — დანართები 1 და 2).

2. მდივნები, მთარგმნელები და ექსპერტები გადადიან საზღვარზე მოწმობის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებულის მოწმობას უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა, აგრეთვე მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (მოწმობის ნიმუში — დანართი 3).

3. 2 პუნქტში ნახსენები ვიზები, აგრეთვე ვიზები მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეებისათვის, გაიცემა საზღვრის მრავალჯის გადასასვლელად თვემდე ვადით.

საქართველოს  
გარე საქმეთა  
მინისტროსთვის

4. იმ პირთ, რომელთა ყოფნა საჭიროა რაიმე საკითხის გამოსარკვევად ან მესაზღვრე რწმუნებულის დევალებით სამუშაოს შესასრულებლად, საზღვარზე გადასვლა შეუძლიათ ორივე მხარეზე საზღვრის ერთჯერადი გადასვლის მოწმობის ან საერთო სიის საფუძველზე, რომლებიც ძალაშია 24 საათის განმავლობაში. მოწმობებს და საერთო სიებს ხელს აწერს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებული და ვიზას აძლევს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებული (მოწმობის ნიმუში — დანართი 4).

მუშათა ჯგუფები საზღვარზე გადადიან მხოლოდ დღისით ამ ჯგუფების უფროსებთან ერთად მოწმობების დანართი საერთო სიების საფუძველზე, რომლებიც ეძლევათ ჯგუფების უფროსებს.

5. მესაზღვრე რწმუნებულები ამ მუხლის 1, 2 და 4 პუნქტებში აღნიშნულ დოკუმენტებზე ვიზას იძლევიან არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან დოკუმენტების ვიზის დასადებად შემოსვლისა.

6. ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის შეთანხმების შესაბამისად, რკინიგზის პერსონალს, რომელიც მონაწილეობს საზღვრის გადაღმა მოძრაობაში და იმ პირთ, რომლებიც აწარმოებენ საკომუნიკაციო ნაგებობათა, ხიდების, წყლის ნაგებობათა მშენებლობისა და დაცვის უზრუნველსაყოფ სამუშაოებს, აგრეთვე მდინარეების რეგულირების, გაზომვათა წარმოებისა და სხვა ამგვარ სამუშაოებს, შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე სასაზღვრო საშვებებით, რომლებიც გაიცემა თითოეულ მხარეში დადგენილი წესის შესაბამისად, ორივე მხარეს შორის არსებული შეთანხმებების საფუძველზე.

ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები ერთად ადგენენ ზემოაღნიშნულ პირთა საზღვარზე გადასვლის დროსა და ადგილს და აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს მათ საშვებებზე.

7. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მუშებს, რომლებიც გადადიან მეორე მხარის ტერიტორიაზე, უფლება არა აქვთ თან წაიღონ სხვა რაიმე, გარდა ინსტრუმენტებისა და სატრანსპორტო საშუალებებისა მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე მუშაობის დროს საჭირო სასურსათო პროდუქტებისა და თამბაქო, ნაწარმისა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოთა წარმოება გაგრძელდება რამდენიმე დღეს, ეს საგნები შეიძლება დატოვებულ იქნას სამუშაო ადგილზე ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა თანხმობით.

8. საზღვარზე გადასასვლელი მოწმობის ან სასაზღვრო საშვის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უახლოეს სასაზღვრო ხელისუფალთ, რომლებიც ამის შესახებ აცნობებენ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სასაზღვრო ხელისუფალთ.

ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს საზღვარზე გადასასვლელი მოწმობებისა და სასაზღვრო საშვთა გაუქმების შესახებ.

9. იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს სასაზღვრო საშვი, უნდა განემარტოთ მათი მოვალეობა ორივე მხარის საბაჟო და სავალუტო წესების დაცვის შესახებ/ იმ პირებს, რომლებიც არ დაიცავენ ამ წესებს, შეიძლება ჩამოერთვათ საზღვრო საშვი.

10. ამ ხელშეკრულების თანახმად უბაჟოდ და სხვა გამოსაღებით დაუბეგრავად გადასაზიდი მასალებისა და ნივთების შემოწმების წესს ერთად განსაზღვრავენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი.

### მუხლი 52

ის პირები, რომლებსაც რწმუნება აქვთ გადავიდნენ საზღვარზე, ვალდებული არიან საზღვარზე გადასვლის დროს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოებს თითოეულ შემთხვევაში წარუდგინონ საზღვარზე გადასვლის მოწმობა ან სასაზღვრო საშვი ჩანაწიშნის გასაკეთებლად.

### მუხლი 53

1. საზღვარზე გადასვლა ხდება მხოლოდ იმ პუნქტებში, რომლებიც ამ ხელშეკრულების 50 მუხლის შესაბამისად არის დადგენილი, თუ მესაზღვრე რწმუნებულები ან მათი თანაშემწეები არ შეთანხმდნენ საზღვარზე გადასვლის სხვა ადგილის შესახებ.

2. ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნულ პირთა საზღვარზე ყოველი გადასვლის დღისა და საათის შესახებ, საჭიროა წინასწარ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 12 საათით ადრე ეცნობოს მეორე მხარის სასაზღვრო დაცვის უახლოეს ორგანოს, რომელიც მოვალეა შეხვედრის პუნქტში გამოგზავნოს თავისი გამყოლი.

3. მესაზღვრე რწმუნებულებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებიც ნახსენებია ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტებში, უფლება აქვთ საზღვარზე გადასვლისას ატარონ ფორმა და პირადი იარაღი.

### მუხლი 54

1. მესაზღვრე რწმუნებულების, მათი მოადგილეებისა და თანაშემწეებისათვის, აგრეთვე სხვა პირთათვის, რომლებიც ნახსენებია ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 1 და 2 პუნქტებში, გარანტირებულია მათი პირადი ხელშეკრულება, აგრეთვე იმ სამსახურებრივი ქაღალდების ხელშეუხებლობა, რომლებიც მათ თან აქვთ.

ზემოხსენებულ პირებს უფლება აქვთ წაიღონ თან უბაჟოდ და სხვა გამოსახულებით დაუბეგრავად მეორე მხარის ტერიტორიაზე მუშაობისათვის საჭირო ნივთები და სატრანსპორტო საშუალებანი, მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე სასურსათო პროდუქტები და თამბაქოს ნაწარმი პირადი სარგებლობისათვის.

2. ამ ხელშეკრულების 51 მუხლის 4 და 6 პუნქტებში, ნახსენები პირები სარგებლობენ ხელშეუხებლობით და არ შეიძლება დაკავებულ იქნას მხარის ტერიტორიაზე ყოფნის დროს.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

### მუხლი 55

თითოეული მხარე საჭირო დახმარებას აღმოუჩენს მეორე მხარის იმ პირთ, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, რათა ამ პირებმა მიიღონ მიმოსვლის საშუალებანი, ბინები და თავიანთ ხელისუფლებთან კავშირის საშუალებანი.

### მუხლი 56

ამ ხელშეკრულების დადგენილებათა შესასრულებლად საზღვარზე გადასვლის უფლება შეჩერდება მთლიანად ან ნაწილობრივ საჭიროებისდა მიხედვით, თუ საზღვარი დაიხურა მასზე მიმოსვლისათვის სანიტარული ან სხვა მიზეზების გამო.

საზღვარზე გადასვლის უფლების შეჩერების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

### მუხლი 57

ხანძრის ან სხვა სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები მხარეები იღებენ შეძლებისდა მიხედვით მათგან დამოკიდებულ ყველა ზომას იმისათვის, რომ ხანძარი ან სხვა სტიქიური უბედურება არ გავრცელდეს მეორე მხარის ტერიტორიაზე. ამ შემთხვევებში ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი უზრუნველყოფენ დღე-ღამის ყოველ მომენტში სახანძრო რაზმების ან სხვა მასშველი ჯგუფების გაშვებას საზღვარზე სივრთ, შეუთანხმებენ რა წინასწარ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს საზღვრის გადასვლის ადგილსა და დროს.

## ბანჰოფილიტა V

### დასკვნითი დადგენილებანი

### მუხლი 58

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება მოსკოვში რაც შეიძლება მოკლე დროში.





ეს ხელშეკრულება იმოქმედებს მისი ძალაში შესვლის დღიდან განმავლობაში. თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარე არ განაცხადებს თავის უარს მასზე ან იმას შესახებ, რომ სურს შეიტანოს მასში ესა თუ ის ცვლილება, ხელშეკრულება ავტომატურად იმოქმედებს ყოველი შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში მანამდე, ვიდრე ხუთი წლის პერიოდის მორიგი ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს უარს მასზე.

მუხლი 60

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვლება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულება დასკვნითი ოქმით, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1950 წლის 24 თებერვალს, და სასაზღვრო კონფლიქტებისა და ინცინდენტების რეგულირების წესის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის კონვენცია ოქმით და დასკვნითი ოქმით, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1950 წლის 24 თებერვალს.

მუხლი 61

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და უნგრულ ენებზე. ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ. ხელმოწერილია ბუდაპეშტში 1961 წლის 3 ოქტომბერს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მთავრობის რწმუნებით  
3. უსტინოვი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით  
ლ. ფელდუში.

\* \* \*

რატინფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 31 იანვარს; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მიერ — 1962 წლის 13 იანვარს.

სარატინფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1962 წლის 27 თებერვალს.

რ წ მ უ ნ ე ბ ა

ფოტოსურათის  
აღგილი

ბეჭდის აღგილი

(მფლობელის ხელის მოწერა)

გვერდი 2

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდანიშნულების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1961 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნა

(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულად (მესაზღვრე რწმუნებულის მოადგილედ) საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე.

(წოდება, გვარი)

აღიჭურვება რწმუნებით ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად და ამასთან დაკავშირებით უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე და იმყოფებოდეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი

(წოდება, გვარი)

ბეჭდის აღგილი

ქალაქი მოსკოვი, 19 — წლის „ — “ —

გვერდი 3 (იგივე ტექსტი უნგრულ ენაზე)

**რ წ მ უ ნ ე ბ ა**

ფოტოსურათის  
ადგილი

ბეჭდის ადგილი

(მფლობელის ხელის მოწერა)

**გვარდი 2**

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1961 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების 36 მუხლის საფუძველზე \_\_\_\_\_  
(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრები \_\_\_\_\_  
დაბადებული \_\_\_\_\_

(დაბადების წელი, თვე და რიცხვი)

დანიშნულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულის თანაშემწედ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე.

(წოდება, გვარი)

აღიკურგება რწმუნებით აღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად და ამასთან დაკავშირებით უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე და იმყოფებოდეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის  
მესაზღვრე რწმუნებულს

ბეჭდის ადგილი

(წოდება, გვარი)

19 — წლის „ — “ —

ეს რწმუნება წარმომედგინა და ძალაშია

19 ——— წლის „      “ ——— დან  
19 ——— წლის „      “ ——— მდე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის  
გენსაზღვრე რწმუნებული

\_\_\_\_\_  
(წოდება, გვარი)

ბეჭდს ადგია

19 ——— წლის „      “ ———



მესაზღვრე რწმუნებულის თანამშრომელთა მოწმობის ნიმუში

გვერდი 1 (ზომა 15 × 10 სმ)

**მ ო წ მ ო ბ ა**

ფოტოსურათის  
ადგილი

ბეჭდის ადგილი

(მფლობელის ხელის მოწერა)

**გვერდი 2**

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1961 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების 51 მუხლის საფუძველზე

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრებს \_\_\_\_\_

დაბადებულს \_\_\_\_\_

(დაბადების წელი, თვე და რიცხვი)

რომელიც არის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულის \_\_\_\_\_

თანამდებობა,

უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე ორივე მხარეზე და იმყოფებოდეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მესაზღვრე რწმუნებულის

ბეჭდის ადგილი

(წოდება, გვარი)

19 — წლის „ — “ —

გვერდი 3 (იგივე ტექსტი უნგრულ ენაზე)



ეს მოწმობა წარმომედგინა და ძალაშია

19 \_\_\_\_\_ წლის „ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ დან  
19 \_\_\_\_\_ წლის „ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ მდე

უნბრეთის სახალხო რესპუბლიკის  
მისაჯლვრი რწმუნებული

ბეჭდის ადგილი

\_\_\_\_\_ (წოდება, გვარი)

19 \_\_\_\_\_ წლის „ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_

საზღვრის ერთჯერადი გადასვლის მოწმობის ნიმუში

ვერდი 1 (ზომა 15 x 10 სმ)

**მ ო წ მ ო ბ ა**

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვრის  
ერთჯერადი გადასვლისათვის ორივე მხარეზე

ვერდი 2

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდამარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1961 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების 51 მუხლის საფუძველზე, \_\_\_\_\_

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრებს \_\_\_\_\_

დაბადებულს \_\_\_\_\_  
(დაბადების წელი, თვე და რიცხვი)

უფლება აქვს გადავიდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე, მის ორივე მხარეზე \_\_\_\_\_ და იმყოფებოდეს უნგრეთ-  
(პუნქტის დასახელება)

თის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

ძალაშია 19 — წლის „      “ ————— საათიდან  
19 — წლის „      “ ————— საათამდე

(წოდება, გვარი)

ბეკდის ადგილი

19 — წლის „ — “ —

---

გვერდი # (იგივე ტექსტი უნგრულ ენაზე)

გვერდი 4

ეს მოწმობა წარმომედგინა და ძალაშია იმ ვადის განმავლობაში, რომელიც აღნიშნულია 2 და 3 გვერდებზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის  
მისაჯღვრე რწმუნებულნი

---

(წოდება, გვარი)

ბეკდის ადგილი

19 — წლის „ — “ —





**103** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის მთავრობისა და ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა,

ისწრაფვიან რა შემდგომ განამტკიცონ მეგობრული დამოკიდებულება და განავითარონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა დამყარებული თანასწორობის, ურთიერთეკონომიური სარგებლიანობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობისა და ორივე ქვეყნის ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე,

შეთანხმდნენ ქვემოთმოყვანილზე:

**მუხლი 1**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის სურვილების დასაკმაყოფილებლად, თანხმობას გამოთქვამს ითანამშრომლოს ტუნისის რესპუბლიკის მთავრობასთან ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობაში მდინარე კასებზე და იშკელის რაიონში და ტუნისის უნივერსიტეტთან ეროვნული ტექნიკური ინსტიტუტის მშენებლობასა და მოწყობაში.

იმ ობიექტების ნუსხა, რომელთა მშენებლობა ტუნისის რესპუბლიკაში განხორციელდება საბჭოთა მხარესთან თანამშრომლობით, აგრეთვე ამ თანამშრომლობის მოცულობა, ვადები და სახეობანი ნაჩვენებია დანართში, რომელიც ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ამ დანართით გათვალისწინებული საძიებო სამუშაოების ჩატარებისა და ობიექტების მშენებლობის განხორციელების ვადები, აგრეთვე მათი მოცულობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშორის შეთანხმებით.

**მუხლი 2**

ამ შეთანხმების 1 მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის განხორციელების მიზნით საბჭოთა ორგანიზაციები:

შეასრულებენ საპროექტო-საძიებო სამუშაოებს, მიაწვდიან სიფ ტუნისის ნავსადგურების პირობებში მოწყობილობასა და მშენებლობისათვის საჭირო მასალას, რომელიც არ შეიძლება გამოინახოს ტუნისში;

განიხილავენ ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის მიერ შესრულებულ ძიების, გამოკვლევის მასალებს და საპროექტო დოკუმენტაციას, რომლებიც გადაეცემა მათ ამ შეთანხმების 3 მუხლის შესაბამისად;

მიავლენენ ტუნისში საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ სამშენებლო მოედნების შერჩევაში, დაპროექტებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების შეკრებასა და შეგროვებაში, მოწყობისათვის მშენებლობაში (კონსულტაციებსა და საავტორო მეთვალყურეობის გზით), დამონტაჟებასა, აწყობასა და ექსპლუატაციაში გაშვებაში;

ტუნისში საბჭოთა სპეციალისტების მივლინების გზით ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ტუნისს ეროვნული კადრების მომზადებაში იმ ობიექტებზე სამუშაოდ, რომლებიც შენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით, აგრეთვე, იმ შემთხვევაში თუ ამას ისურვებს ტუნისის მხარე, სსრ კავშირში მიიღებენ ტუნისის მოქალაქეებს შესაბამისი პროფილის ობიექტებზე საწარმო-ტექნიკური სწავლებისათვის;

გაგზავნიან ტუნისში პროფესორ-მასწავლებლებს ტუნისის უნივერსიტეტის ეროვნულ ტექნიკურ ინსტიტუტში სამუშაოდ, რომელიც ამ შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება იმ რაოდენობით, პროფილებით, ვადებითა და პირობებით, რომლებზედაც მხარეები ურთიერთშეთანხმდებიან;

დამუშავებენ და ტუნისის ორგანიზაციებს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომელიც საჭიროა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ობიექტების ნორმალური ექსპლუატაციისათვის. ამასთან იგულისხმება რომ აღნიშნული დოკუმენტაცია გამოყენებულ იქნება მხოლოდ ტუნისის რესპუბლიკის ფარგლებში და თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციების თანხმობის გარეშე არ გადაეცემა უცხოეთის ფიზიკურ და იურდიულ პირებს.

### მუხლი 3

ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა ტუნისის შესაბამისი ორგანიზაციების საშუალებით მხარეებს შორის ურთიერთ შეთანხმებულ ვადებში უზრუნველყოფს:

საბჭოთა ორგანიზაციებისათვის დაპროექტებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების, აგრეთვე გამოკვლევის ტექნიკური მონაცემების გადაცემას იმ რაიონების მიხედვით, სადაც უნდა ჩატარდეს სამუშაოები;

და საჭიროების შემთხვევაში, საბჭოთა ორგანიზაციებისათვის ძიების, გამოკვლევის მასალებისა და საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემას, რომლებიც შესრულებულია ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის მიერ და რომლებიც საჭიროა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად;

საპროექტო დავალებების, კონტრაქტების პროექტების განხალგასა და დამტკიცებას და მათზე ხელის მოწერას. ამასთან იგულისხმება, რომ მოწყობილობისა და მასალების მიწოდების კონტრაქტებს მხარეები ხელს მოაწერენ არა უგვიანეს 3 თვისა შესაბამისი ობიექტისათვის საპროექტო ამოცანების დამტკიცების შემდეგ;

საბჭოთა ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით ყველა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოს განხორციელებას ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ობიექტებზე:

ობიექტების მშენებლობას მუშა ხელით, საჭირო ადგილობრივი საშენი და სხვა მასალებით ოა ნაწარმით, რომლებიც შეიძლება დამზადდეს ტუნისში, ელექტროენერგიით, წყლით, ობიექტების ტერიტორიაზე მისასვლელი გზებისა და შიდა საკომუნიკაციო ხაზების მშენებლობას, აგრეთვე ტუნისის მხრივ მომსახურების გაწევას და იმ ვალდებულებათა შესრულებას, რაც საჭიროა საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების განსახორციელებლად.

#### მუხლი 4

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის განხორციელებაში ტუნისის რესპუბლიკისათვის ეკონომიური დახმარების აღმოჩენის მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ტუნისის რესპუბლიკის მთავრობას მისცემს კრედიტს 25 მილიონი მანეთის ოდენობით (ერთი მანეთი შეიცავს 0,987412 გრამ სუფთა ოქროს) წლიური 3 პროცენტის ანგარიშით.

კრედიტი, რომელიც მოცემულ იქნება ამ შეთანხმების შესაბამისად, გამოყენებულ იქნება:

ა) საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების ასანაზღაურებლად;

ბ) სსრ კავშირიდან ტუნისის რესპუბლიკაში სიფ ტუნისის ნავსადგურების ფასებში მიწოდებული, მოწყობილობისა და მასალების ასანაზღაურებლად. მოწყობილობისა და მასალების ფასები დადგენილ იქნება მსოფლიო ბაზრის ფასების ბაზაზე;

გ) მოწყობილობის მშენებლობაში (საავტორო მეთვალყურეობა და კონსულტაციები), დამონტაჟებასა, აწყობასა და ექსპლუატაციაში გაშვებაში ტექნიკური დახმარების გასაწევად საბჭოთა სპეციალისტების ტუნისის რესპუბლიკაში მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების, ტუნისის რესპუბლიკაში მათი შენახვის ხარჯების გამოკლებით, ასანაზღაურებლად;

დ) საწარმო-ტექნიკური სწავლებისათვის სსრ კავშირში გამოგზავნილი ტუნისის მოქალაქეთა შესანახავი ხარჯების ასანაზღაურებლად;

ე) ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ობიექტების ექსპლუატაციის ორგანიზაციისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის დასამზადებელი და მათი ტუნისის ორგანიზაციებისათვის გადასაცემი ხარჯების ასანაზღაურებლად.

ამ მუხლში ხსენებული მანეთის ოქროს შემცველობის ცვლილებების შემთხვევაში, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ტუნისის ცენტრალური ბანკი მანეთის ოქროს შემცველობის ცვლილების დღისათვის საკრედიტო ანგარი-



შეზღვევით რიცხულ ნაშთების გადაანგარიშებას მოახდენენ ამ ცვლილების შესახებ მისი პროპორციით. ასეთივე წესით იქნება გადაანგარიშებული გამოუყენებელი კრედიტის თანხა.

საქართველოს  
ბანკების კავშირი

### მუხლი 5

ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა თითოეული ობიექტისათვის გამოყენებულ კრედიტის ნაწილს, რომელიც მას მიეცა ამ შეთანხმების 4 მუხლის თანახმად, დაფარავს 12 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველწლიური შენატანებით. ძირითადი ვალის დასაფარავი პირველი გადასახდელი დაიწყება სსრ კავშირიდან შესაბამისი ობიექტისათვის კომპლექტური მოწყობილობის მიწოდების დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ.

პროცენტები კრედიტზე დაირიცხება კრედიტის შესაბამისი ნაწილის გამოყენების თარიღიდან და გადახდილ უნდა იქნას წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, რომელიც მოსდევს პროცენტების დარიცხვის წელს, ამასთან პროცენტების უკანასკნელი გადასახდელი გადახდილ უნდა იქნას ძირითადი ვალის დასაფარავ გადასახდელთან ერთად.

კრედიტის გამოყენების თარიღად ჩაითვლება კონსოლმენტის თარიღი მოწყობილობისა და მასალების ანაზღაურებაზე, ხოლო საპროექტო-საძიებო სამუშაოების, ტექნიკური დოკუმენტაციისა და ტექნიკური დახმარების სხვა სახეობათა ანაზღაურებაზე — მათ ანაზღაურებაზე ანგარიშის გამოწერის თარიღი.

თითოეული ობიექტისათვის კომპლექტური მოწყობილობის დამთავრების თარიღი ფიქსირებულ იქნება საბჭოთა ორგანიზაციების წერილებში, რომლებიც ტუნისის ორგანიზაციებს გაეგზავნებათ შესაბამისი ობიექტისათვის უკანასკნელად გადმოტვირთულ მოწყობილობასა და მასალებთან ერთად.

### მუხლი 6

კრედიტის დასაფარავ გადასახდელებს და მასზე დარიცხულ პროცენტების გადახდას ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა აწარმოებს ტუნისის დინარებში (ტუნისის ერთი დინარი შეიცავს 2,15880 გრამ სუფთა ოქროს) შესაბამისი თანხების ჩარიცხვის გზით ცალკე ანგარიშზე, რომელსაც ტუნისის ცენტრალური ბანკი გახსნის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელზე.

მანეთების ტუნისის დინარებში გადაანგარიშება მოხდება გადახდის დღისათვის მანეთისა და ტუნისის დინარის ოქროს შემცველობის მიხედვით.

ამ ანგარიშზე შემოსულ თანხებს საბჭოთა კავშირ-ტუნისის საეკონომიკური და საგადასახდლო მოქმედი შეთანხმების მიხედვით საბჭოთა ორგანიზაციები მთლიანად გამოიყენებენ ტუნისის რესპუბლიკაში საქონლის შესასყიდად. აღნიშნული შეთანხმების პირობებში საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესასყიდი შესაბამისი საქონლის უქონლობის შემთხვევაში, ეს თანხები შეიძლება კონვენსირებულ იქნას გირვანქა სტერლინგებში, აშშ დოლარებში ან სხვა კონვენსირებულ ვალუტაზე, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და ტუნისის ცენტრალური ბანკის ურთიერთშორის შეთანხმებით.



ტუნისის დინარების გადაანგარიშება კონვენსირებულ ვალუტაზე განხორციელდება გადასახდელის დღისათვის მათი ოქროს შემცველობის მიხედვით.

ტუნისის დინარის ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული ოქროს შემცველობის ცვლილების შემთხვევაში, სალდო ტუნისის ცენტრალურ ბანკში აღნიშნულ ცალკე ანგარიშზე გადაანგარიშებულ იქნება ცვლილებათა პროპორციულად, რომლებსაც შეიძლება ადგილი ექნას.

### მუხლი 7

ამ შეთანხმებით მიცემული კრედიტის გამოყენებისა და დაფარვის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდის აღრიცხვის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ტუნისის ცენტრალური ბანკი გახსნიან სპეციალურ საკრედიტო ანგარიშებს და ერთად დააწესებენ კრედიტზე აღნიშნული ანგარიშებისა და ანგარიშსწორებათა წარმოების ტექნიკურ წესს.

### მუხლი 8

ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა სსრ კავშირის მთავრობას გადაუხდის საბჭოთა ორგანიზაციების ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ტუნისის რესპუბლიკაში ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების გასაწევად მივლინებული საბჭოთა სპეციალისტების შესანახავ ხარჯებთან, კონტრაქტებში დათქმული შესაბამისი თანხების ტუნისის დინარებში ცალკე ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, რომელიც ამ შეთანხმების 6 მუხლის შესაბამისად გახსნილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელზე ტუნისის ცენტრალურ ბანკში.

### მუხლი 9

საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულება, სსრ კავშირიდან მოწყობილობისა და მასალების მიწოდება, საბჭოთა სპეციალისტების მივლინება ტუნისში, ტუნისის მოქალაქეთა საწარმოო-ტექნიკური სწავლება სსრ კავშირში და საბჭოთა მხარის მხრივ ყველა სხვა სახის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით, განხორციელდება კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც დადებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირისა და ტუნისის კომპეტენტურ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ამაზე რწმუნებით აღიჭურვებიან სათანადოდ სსრ კავშირის მთავრობისა და ტუნისის რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ამ კონტრაქტებში დაწვრილებით იქნება განსაზღვრული ამ შეთანხმებით მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულების მოცულობა, ვადები, ფასები და სხვა პირობები.

### მუხლი 10

იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების 4 მუხლში ჩამოთვლილი მოწყობილობის, მასალებისა და საბჭოთა ორგანიზაციების მომსახურების ღირებულება გა-

დაამეტებს კრედიტის აღნიშნულ თანხას 25 მილიონ მანეთს, მაშინ ასეთ ნაძებთ თანხას ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა აანაზღაურებს მთლიანად ტუნისის საქონლის მიწოდებით სსრ კავშირში საბჭოთა კავშირ-ტუნისის მოქმედი საავტორო და საგადასახდელო შეთანხმების პირობების მიხედვით ან კონვენტსიონალური ვალუტით, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და ტუნისის ცენტრალური ბანკის ურთიერთშორის შეთანხმებით.

### მუხლი 11

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში თითოეულ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად და ძალაში შევა დროებით ხელის მოწერის დღეს და საბოლოოდ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

დადებულია ტუნისში 1961 წლის 30 აგვისტოს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
მთავრობის რწმუნებით  
პ. კულიშვი.

ტუნისის რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით  
ახმედ ზან სალასი.



რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 9 თებერვალს; ტუნისის რესპუბლიკის ეროვნული კრების მიერ — 1962 წლის 4 იანვარს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1962 წლის 16 თებერვალს.

ნ უ ს ხ ა

იმ ობიექტებისა, რომელთა მშენებლობაში საბჭოთა კავშირი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ტუნისის რესპუბლიკას

№ რიგის მიხედვ.	ობიექტების დასახელება, მათი მოკლე დახასიათება და ტექნიკური დახმარების სახეობანი	შესრულების ვადები
1	<p>კაშხალი მდინარე კასებზე 2 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურით</p> <p>საძიებო სამუშაოები და პროექტის განხილვა</p> <p>სამუშაო ნახაზები</p> <p>მოწყობილობისა და მასალების მიწოდება</p>	<p>1962 წლის 1 ნახევარი</p> <p>მშენებლობის გრაფიკის მიხედვით</p> <p>1963 — 1964 წლები</p>
2	<p>ჰიდროტექნიკური ნაგებობანი იშკელის რაიონში</p> <p>ა) კაშხალი მდინარე ჭუმინზე 2 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურით</p> <p>ძიების მასალების განხილვა და პროექტის შედგენა</p> <p>სამუშაო ნახაზები</p> <p>მოწყობილობისა და მასალების მიწოდება</p> <p>ბ) კაშხალი მდინარე სეჟენანზე 2 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურით</p> <p>საძიებო სამუშაოები</p> <p>პროექტის შედგენა</p> <p>სამუშაო ნახაზები</p> <p>მოწყობილობისა და მასალების მიწოდება.</p>	<p>1962 წელი</p> <p>მშენებლობის გრაფიკის მიხედვით</p> <p>1963 — 1965 წლები</p> <p>1962 წელი</p> <p>1962 — 1963 წლების ბოლო</p> <p>მშენებლობის გრაფიკის მიხედვით.</p> <p>1963 — 1966 წლები</p>

**ბ) მიწის კაშხალი მდინარე რეზელზე**

საძიებო სამუშაოები და პროექტის შედგენა

სამუშაო ნახაზები

მოწყობილობისა და მასალების მიწოდება

1962 — 1963 წლის I კვარტალი

მშენებლობის გრაფიკის მიხედვით

1963 — 1964 წლები

**დ) მიწის კაშხალი მდინარე დუიშისზე**

საძიებო სამუშაოები და პროექტის შედგენა

სამუშაო ნახაზები

მოწყობილობისა და მასალების მიწოდება

1962 — 1963 წლის I კვარტალი

მშენებლობის გრაფიკის მიხედვით

1963 წლის II ნახევარი — 1964 წელი

3

**ეროვნული ტექნიკური ინსტიტუტი ტუნისის უნივერსიტეტთან 700 კაც მოსწავლეზე**

საპროექტო დავალება

სამუშაო ნახაზები საკვირო განმარტებებითა და სპეციფიკაციებით

მოწყობილობისა და მასალების მიწოდება

6 თვის განმავლობაში ტუნისის მხარისაგან საწყისი მონაცემების მიღების თარიღიდან

8 თვის განმავლობაში ტუნისის მხარისაგან საპროექტო დავალების დამტკიცების თარიღიდან

1963 — 1964 წლის III კვარტალი

ა. კ. (კ. კულიშვილი).

ა. ზ. ს. (ახმედ ბინ ხალბი)





**104 სსრ კავშირის სახელმწიფო კრედიტის ლაურეატის საპატიო ნიშნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I, II და III ხარისხის სტალინური ლაურეატის დიპლომებისა და ნიშნების სსრ კავშირის შესაბამის ხარისხის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დიპლომებზე და საპატიო ნიშნებზე შეცვლასთან დაკავშირებით დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 მარტი.

**აღწერილობა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნისა**

სსრ კავშირის I, II და III ხარისხის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნებს აქვთ 26 მმ დიამეტრის სწორი წრის ფორმა.

ნიშნის წინაპირზე, მჭრქალ ფონზე, მოთავსებულია ნამგალისა და უროს ამობურცული გამოსახულება და დაფნის შტოს ბარელიეფური გამოსახულება.

წრის გასწვრივ ნიშანს აქვს ამობურცული კიდე. ნამგალი და ურო, დაფნის შტოს ფოთლების მოქობვა, ამობურცული კიდე და ნიშნის გვერდის ფართობი — მოგლუვებულია.

ნიშნის უკანა მხარეზე, მჭრქალ ფონზე, წრიულად მოთავსებულია წარწერა: სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხოლო წრის ცენტრში მოთავსებულია წარწერა (ორ სტრიქონში), რომელიც უჩვენებს პრემიის ხარისხს: პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის, მესამე ხარისხის. წარწერის ქვეშ მოთავსებულია ნიშნის ნომერი, ასოების ზედაპირი მოგლუვებულია.

ნიშანი ყუწწისა და შუალედური რგოლის მეშვეობით უერთდება სწორკუთხა მორაკს, რომელსაც გვერდებზე აქვს ჰრილები. მორაკის ფუძის გასწვრივ არის განაჭერი. მორაკის შიდა ნაწილი დაფარულია მუარის წითელი ლენტით. მორაკს მეორე მხარეზე აქვს კუთხვილი წკირი ქანჩით ნიშნის ტანსაცმელზე მისამაგრებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნები მზადდება:

- I ხარისხის — 583 სინჯის ოქროსაგან (მორაკი ვერცხლისა მოოქრულია);
- II ხარისხის — მეღქიორისაგან (შტო და მორაკი ტომპაკისა მოოქრულია);
- III ხარისხის — ტომპაკისაგან (შტო მეღქიორისა მოვერცხლილია).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**105** ახს. ა. პ. შტიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ახს. ალექსი პავლეს ძე შტიკოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**106** ახს. თ. ე. მარტინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების ვათვალისწინებით უკრაინის კომუნისტური პარტიის კიროვოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ახს. თევდორე ეგნატეს ძე მარტინოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**107** ახს. კ. ი. გალანშინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სკკპ პერმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ახს. კონსტანტინე ივანეს ძე გალანშინი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 მარტი.



**108** ამხ. ა. ვ. ბასოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე ბასოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**109** ამხ. მ. პ. გიორგაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. მ. პ. გიორგაძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. მიხეილ პორფილეს ძე გიორგაძე დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მავიერ ი. კაპიტონოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 12 მარტი.

**საქართველოს სსრ ქანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

**განყოფილება პირველი**

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**110** ამხ. ა. ი. გიგაურის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნას ამხ. ანდრო იოსების ძე გიგაური საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანოვი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 12 მარტი.